მონასტერში წასვლის მოტივაცია და წინაპირობები ქართული ჰაგიოგრაფიის მიხედვით, VIII-XI საუკუნეებში

აბრამ იდიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს, ქ-ნ ნინო მატარაძეს
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის აბრამ იდიძის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბრამ იდიძე

2024

„რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე“ (მათე 16, 24).

„ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე 19, 21).

„რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკა 14, 26).

„რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“ (მათე, 23, 12).

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი „მონასტერში წასვლის მოტივაცია და წინაპირობები ქართული ჰაგიოგრაფიის მიხედვით, VIII-XI საუკუნეებში“ იკვლევს ქართველ მოღვაწეთა ბერული ცხოვრების დაწყების რეალურ მიზეზებს; ცდილობს გამოკვეთოს და დაადგინოს წინაპირობები, რამაც მათი მონასტერში წასვლა განსაზღვრა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, აღნიშნული პერიოდის ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე დაყრდნობით, გამოგვეკვლია ყველა შესაძლო მოტივაცია, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა მოღვაწეთათვის სამონასტრო ცხოვრების დაწყების გზაზე. მოგეხსენებათ, რომ „ცხოვრებათა“ ავტორები ჰაგიოგრაფიისთვის დამახასიათებელ სტილსა და კანონიკას მისდევენ; რელიგიურ საბურველში აქცევენ წმინდანთა მთელ ცხოვრებას; ამასთან, უაღრესად პროვიდენციალურად გადმოსცემენ ამბებს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ვცდილობთ, მივყვეთ ავტორთა შეფარულ მინიშნებებს და გარკვეულ რეალობასთან მივიდეთ, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს ისეთი, როგორსაც რელიგიური ჩარჩო მოითხოვს. ვიაზრებთ იმ ფაქტს, რომ სასულიერო მოღვაწეებიცა და ცხოვრებათა ტექსტების ავტორებიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ყველა განცდით, ვნებითა თუ სისუსტით.

ნაშრომის მიზანია, რელიგიური ბუნდოვანების მიღმა ადამიანური რეალობა დაგვანახოს.

საკვანძო სიტყვები: მონასტიციზმი, მოტივაცია, ჰაგიოგრაფია.

Abstract

The presented paper, "Motivation and prerequisites for going to the monastery according to Georgian hagiography in the 8th and 11th centuries," investigates the reasons for the start of the monastic life of Georgian cleric figures and tries to highlight and determine the prerequisites that caused them to go to the monastery.

We aimed to explore, based on several "life" texts, all the possible motivations that led the monks to begin the monastic life. You know that the authors of "lives" follow a style characteristic of hagiography and turn the entire life of the saints into a religious veil as much as possible, and at the same time they convey the news in a highly providential way. Despite all this, we try to follow the veiled hints of the hagiographers and arrive at a certain reality, which may not necessarily be what the religious framework requires. We should not forget that the clergy were also ordinary people like us, with all human feelings, passions, and weaknesses.

Our desire is to see the human reality behind the religious obscurity. This is what the presented research serves. Nor should we forget that we are writing about people of the Middle Ages who thought with other worldly nuances and were guided by different moral laws.

Key words: monasticism, motivation, hagiography.